შირაქი

SHIRAKI

www. open.ge

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№19 (9.684)

30 მაისი-6 ივნისი 2015 წელი

ფასი: 50 თეთრი

ყოველკვირეული საინფორმაციო

ბოლო ზარი სკოლებში

დედოფლისწყაროს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ბოლო ზარი დაირეკა. კიდევ ერთი თაობა გამოემშვიდობა სკოლის კედლებს და გავშვობის უდარდელ წლებს... კიდევ ერთმა თაობამ უნდა შეაბიჯოს ჭაბუკობის ხანაში და დამოუკიდებელი ნაბიჯები გადადგას ცხოვრების რთულ გზაზე... მანამდე კი პირველი სერიოზული გამოცდის ჩაბარება მოუწევთ ახალგაზრდებს, რომელიც მათ პროფესიულ არჩევანს უკავშირდება. წარმატებებს ვუსურვებთ სკოლადამთავრებულებს, რომელნიც დღეს გზაჯვარედინთან დგანან, ცხოვრების გზაჯვარედინთან...

ზურგის ქარს გისურვებთ ცხოვრების რთულ გზაზე და ყველანაირი გამოცდის წარმატებით ჩაბარებას გისურვებთ, ჩვენო ახალგაზრდებო!

საგზლად კი ფსიქოლოგ ბესიკ გიგოლაშვილის რჩევას გატანთ, რომლის გათვალისწინებაც, ვფიქრობთ, კარგ სამსახურს გაგიწევთ:

ლია ბარათი

ცხოვრებაში ახლადფეხშედგმულ მეგობარს

«ათასი ნაბიჯისგან შემდგარი
გზა ყოველთვის პირველი
ნაბიჯიდან იწყება»

კონფუცი

შენ ეს წუთია, რაც ფეხი შედგი ცხოვრებაში და უკვე შეჯიბრში ჩაბმული აღმოჩნდი. საკონტროლოები, დამამთავრებელი გამოცდები, ხასიათებისა და პრინციპების,მ იდეალებისა და გულგატეხილობის ჭიდილი.: ვინ უფრო ჭკვიანია, ვინ ძლიერი, უტიფარი, გაბედული და ა. შ. გრძნობ, რომ ახალი რაღაც იწყება, რომელიც გაკრთობს თავისი იდუმალებით და უცნაურობით და გულის სიღრმეში, ცოტა არ იყოს, შიშის გრძნობასაც განიცდი.

როგორ უნდა იცხოვრო შემდგომ?

როგორ მოახერხებ შეინარჩუნო საკუთარი თავის რწმენა, გადაურჩე სასოწარკვეთილებას, ცხოვრების ჯუნგლების დაუნდობლობას და მაინც მიაღწიო მიზანს?

უპირველესად დაიმახსოვრე, რომ როგორც არ უნდა წავიდეს შენი ცხოვრება, შენს მიერ მიღწეულ წარმატებებს ბევრი საკუთარ დამსახურებად მიითვლის, ხოლო სერიოზული წარუმატებლობის, ან სულაც კატასტროფის შემთხვევაში, ყველაფერი მხოლოდ შენ დაგბრალდება. ადამიანები საკმაოდ ეგოისტები ვართ და თითქმის ყოველთვის ვარჩევთ, შორს ვიყოთ წარუმატებელი და გულგატეხილი ადამიანისგან. როგორი დამარცხებაც არ უნდა გელოდეს, მუდამ გახსოვდეს, რომ ხვალ ყველაფრის თავიდან დაწყების უფლება გაქვს. ამიტომ შენი ძირითადი ინტერესები ყოველთვის შეუფარდე საკუთარი პიროვნული ცხოვრების მასშტაბებს. ეცადე, შეხედო შენს დღევანდელობას ხვალინდელობის თვალით: იმოქმედე, იყავი მართალი და თავდაჯერებული. შეაფასე საკუთარი ცხოვრება მახვილგონივრული იუმორით. ნუ გაბოროტდები ადამიანებზე და სამყაროზე, ბოღმას ნუ დაემონები და მაშინ არავისი არაფერი შეგშურდება.

ამ წუთას, ალბათ, გამოუცნობ შიშსაც გრძნობ, გეშინია, რომ შეიძლება ვერ გაამართლო შენზე დამყარებული იმედები. დამშვიდდი, ცხოვრება უფრო მარათონია, ვიდრე სპრინტი. მარათონში კი გამარჯვებისთვის უმთავრესია ამტანობა. პირველი კილომეტრების წამგები ჯერ კიდევ ვერ ჩაითვლება საბოლოოდ

(გაგრძელება გვ.3)

სახალხო დღესასწაული

გვ.4

საატესტატო გამოცდებში 57 მოსწავლე ჩაიჭრა

გვ.3

გავშვთა დღის მილმა დარჩენილები

გვ.6

„დედოფლისწყაროს საათი“

ირაკლი ღარიბაშვილს ავღანეთში მეოფმა ქართველმა სამხედროებმა საქართველოს დროშა გამოუგზავნეს

საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილს ავღანეთიდან, 31-ე ბატალიონის სამხედრო მოსამსახურეებმა, საქართველოს დროშა გამოუგზავნეს.

მთავრობის ადმინისტრაციის პრესსამსახურის ინფორმაციით, სამხედროების საჩუქარი ირაკლი ღარიბაშვილს მთავრობის დღევანდელ სხდომაზე თავდაცვის მინისტრმა თინათინ ხიდაშელმა გადასცა.

ირაკლი ღარიბაშვილმა აღნიშნა, რომ ამ საჩუქრის მიღება მისთვის დიდი პატივია. დროშას პრემიერი საკუთარ კაბინეტში განათავსებს.

სკოლაში ბავშვის ხუთი წლის ასაკიდან მიყვანასთან დაკავშირებულ ინიციატივას პარლამენტმა მხარი არ დაუჭირა

სკოლაში ბავშვების ხუთი წლის ასაკიდან მიყვანასთან დაკავშირებულ საკანონმდებლო ინიციატივაზე პარლამენტმა დღეს კიდევ ერთხელ თქვა უარი. "ზოგადი განათლების შესახებ" კანონში დაგეგმილი ცვლილებები, რომლის ავტორი და ინიციატორი ოპოზიციონერი დეპუტატი კობა სუბელიანია, პარლამენტმა პირველი მოსმენით მიიღო, მაგრამ რამდენიმე ხნის შემდეგ, მეორე მოსმენით მხარი აღარ დაუჭირა. კობა სუბელიანმა პარლამენტის რეგლამენტის ის მუხლი გამოიყენა, რომელიც მეორე მოსმენით კენჭისყრისას ჩაგდებული პროექტის განმეორებით კენჭისყრას ითვალისწინებს, თუმცა ხელახალ კენჭისყრაზე საკითხი ისევ ჩავარდა.

"შშობელთა მუდარამდე მისული თხოვნაა — ბავშვებს, რომელთაც წარმოდგენილი საკანონმდებლო ინიციატივა ეხებათ, სკოლაში წასვლის შესაძლებლობა მისცეთ", - მიმართა კოლეგებს კობა სუბელიანმა კენჭისყრის წინ.

კენჭისყრის დაწყებისას განცხადება გააკეთა პარლამენტის განათლების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ ნუკრი ქანთარიამ, რომლის თქმით, სწორედ ბავშვების ინტერესების გათვალისწინებით არც განათლების სამინისტრო და არც კომიტეტი წარმოდგენილ ინიციატივას მხარს არ უჭერს.

"ზოგადი განათლების შესახებ" კანონში დაგეგმილი ცვლილებებით, სკოლაში ხუთი წლის ასაკიდან მიყვანის შესაძლებლობა იმ ბავშვებს ეძლეოდათ, რომელთაც ექვსი წელი დეკემბრამდე უსრულდებათ.

რას ითხოვს ნიაზ დიასამიძე?

მომღერალი ნიაზ დიასამიძე, რომელიც არასოდეს გამოირჩეოდა საჯარო გამოსვლებით, ამჯერად ტრადიციას ღალატობს და ქართული საზოგადოების წინაშე ერთი თხოვნით გამოდის.

მუსიკოსი ყველას გაერთიანებისკენ მოუწოდებს, რადგან მისი თქმით, ძალა ერთობაშია და თუკი ყველა მოვინდომებთ, ეს აუცილებლად გამოგვივა:

"გამარჯობა. აუქციონზე იყიდება ფიროსმანის ნამუშევარი. ხომ არ იცნობთ ისეთ ქართველს რომელიც შეიძენს ამ ნახატს, დააბრუნებს საქართველოში და, რა თქმა უნდა, აჩუქებს მუზეუმს?! პ.ს. ვოცნებობ.

მაქვს მეორე ვერსიაც 1 $ დავდოთ 1 000 000-მა მოქალაქემ და დავიბრუნოთ ფიროსმანის ფერწერა! აუქციონი ტრადება პირველ ივნისს, შანსი გვაქვს და თუ მივაწვებით, გამოგვივა. ძალა ერთობაშია!"

ფიროსმანის ტილო "არსენალის მთა ღამით" კრისტის აუქციონზე გასაყიდად არის გატანილი და ის რუსულ არტად არის მოხსენიებული. ამ თემაზე კულტურის სამინისტროს ოფიციალურ განცხადებას ავრცელებს:

"საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო ეხმაურება „კრისტის" სააუქციონო სახლში 1 ივნისს დაგეგმილ აუქციონს, სადაც ნიკო ფიროსმანის ცნობილი ნამუშევრის „არსენალის მთა ღამით" გაყიდვა იგეგმება. ნახატი რუსული ხელოვნების სექციაშია განთავსებული, თუმცა ლოტის აღწერისას მითითებულია, რომ მისი ავტორი ქართველია.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი მიხეილ გიროგაძე უკვე ესაუბრა საქართველოს ეროვნული მუზეუმის ხელმძღვანელს დავით ლორთქიფანიძეს. შედეგად, უახლოეს მომავალში, მუზეუმი დაიწყებს მუშაობას იმ საკითხზე, რომ ქართველი მხატვრებისა და ხელოვანების ნამუშევრები არ მიაკუთვნონ რუსული არტის სექციას და მოხდეს ნამუშევრების იდენტიფიცირება შესაბამის განყოფილებასთან."

ირაკლი ღარიბაშვილი მთავრობის ეკონომიკურ გუნდს მოუწოდებს, მაქსიმალური ინფორმაცია მიაწოდონ მოსახლეობას

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი ეკონომიკური მდგომარეობის მიმართულებით არსებულ პოზიტიურ ტენდენციაზე საუბრობს და მთავრობის ეკონომიკურ გუნდს მოუწოდებს მაქსიმალური ინფორმაცია მიაწოდოს მოსახლეობას.

ქვეყანაში არსებულ ეკონომიკურ მდგომარეობაზე ირაკლი ღარიბაშვილმა მთავრობის დღევანდელ სხდომაზე ისაუბრა. პრემიერმა აღნიშნა, რომ ორი დღის წინ გამოქვეყნდა უმუშევრობის მაჩვენებელი, რომელიც ბოლო 11 წლის განმავლობაში ყველაზე დაბალია.

"გასული წლის განმავლობაში 33 100 სამუშაო ადგილი შეიქმნა. მინდა კიდევ ერთხელ განვმარტო, რომ აქედან 90% სწორედ კერძო სექტორზე მოდის და ეს ყველაზე მნიშვნელოვანია. ასევე გეტყვით, რომ პოზიტიური ტენდენციები შეინიშნება ექსპორტის დინამიკაშიც. მაღალი ზრდის ტემპი შენარჩუნებულია სოფლის მეურნეობაშიც, ასევე გაზრდილია სასტუმროების და რესტორნების სექტორი, რაც პოზიტიური სიგნალია და ტურისტების მზარდი რაოდენობის შედეგია. ველოდებით, რომ გვექნება კარგი ტურისტული სეზონი. აპრილის თვეში ასევე გვქონდა ეკონომიკური ზრდის ტემპი, თუმცა მონაცემები ჯერ ბოლომდე დაზუსტებული არ არის და არ მინდა წინასწარი კომენტარი გავაკეთო. ეს ყველაფერი გვიმყარებს განცდას, რომ არის პოზიტიური ტენდენცია", - განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

მისივე თქმით, ეკონომიკისა და ფინანსთა სამინისტროები აქტიურად მუშაობენ ინვესტიციების მოზიდვაზე და პრივატიზაციის გეგმაზე.

"მე ვთხოვ ეკონომიკურ გუნდს, რომ მაქსიმალურად მეტი ინფორმაცია მიეწოდოს მოსახლეობას, რომ ეს განცდა, რომელიც რეალურად არის ქვეყანაში, ყველასთვის თვალსაჩინო გახდეს, განსაკუთრებით ბიზნესმენებისთვის და მთელი მოსახლეობისთვის", - განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

კახეთში სეტყვის საწინააღმდეგო სისტემა გამოიყენეს

საქართველოს ტერიტორიაზე ამინდის მკვეთრი გაუარესებაა მოსალოდნელი. სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს აპარატის ცნობით, სტიქიის შედეგების შემარბილებელი ღონისძიებების ფარგლებში, სამეცნიერო-ტექნიკურმა ცენტრმა "დელტამ" კახეთის რეგიონში სეტყვის საწინააღმდეგო სისტემა გამოიყენა. ცამ ცნობის მიხედვით, თელავის რაიონში მოხერხდა დასეტყვილი ფართობების და შესაბამისად მიყენებული ზარალის მასშტაბის მკვეთრი შემცირება, ხოლო გურჯაანის რაიონში სეტყვა თავიდან იქნა აცილებული.შესაძლო გართულებების შესახებ გაფრთხილებული არიან კახეთის, მცხეთა-მთიანეთის, სამეგრელო-ზემო სვანეთისა და რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთის რეგიონებში ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები. ადგილებზე ხორციელდება ყველა შესაბამისი მუნიციპალური სამსახურისა და რესურსების მობილიზაცია.

უგზოუკვლოდ დაკარგულთა მოძიების მიზნით კიდევ 11 სამარხი გაიხსნება

აფხაზეთის ომის დროს უგზოუკვლოდ დაკარგულთა მოძიების მიზნით კიდევ 11 ახალი სამარხი გაიხსნება. როგორც ჟურნალისტებს ოკუპირებულ ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრმა, სოზარ სუბარმა განუცხადა, შესაბამისი შეთანხება გასულ კვირას სტამბულში აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლების წარმომადგენლებთან გამართულ შეხვედრაზეა მიღწეული. შეხვედრაზე, რომელიც წითელი ჯვრის ორგანიზებით იმართება, აფხაზურ მხარეს პირველი ვიცე პრემიერი წარმოადგენდა.

"ეს არის შეხვედრა, რომელიც წითელი ჯვრის ორგანიზებით ტარდება და მხოლოდ ჰუმატარულ საკითხებს განიხილავს, კერძოდ ომში უგზო უკვლოდ დაკარგული მეომრების მოძიების, გადმოსვენებისა და გაცვლის საკითხებს. მოვილაპარაკეთ, რომ 11 ახალი სამარხი გაიხსნება, როგორც სოხუმის ტერიტორიაზე, ისე საქართველოს დანარჩენ ტერიტორიაზე, 5 არის ენგურს გადმოღმა მხარეს, 6 სამარხი კი ენგურის გაღმა მხარეს. სავარაუდოდ, რამდენიმე ათეული ან უფრო მეტი იქნება გადმოსვენებული და მოხდება მათი იდენტიფიცირება", - განაცხადა სოზარ სუბარმა.

მისივე თქმით, დამატებითი დეტალების გახმაურებისგან ამ ეტაპზე თავს შეიკავებს და რამდენიმე თვეში საზოგადოებას პროცესის მიმდინარეობს შესახებ ბევრად მეტი ინფორმაცია ექნება.

ტესტირების მეორე ეტაპის შედეგები ცნობილია

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის მოხელეთა კონკურსის მეორე ეტაპი გამოცხადდა 2015 წლის 17 თებერვალს 18

(თვრამეტ) ვაკანტურ თანამდებობაზე. დარეგისტრირდა 122 (ასოცდაორი)

კონკურსანტის 216 განაცხადი. კონკურსის პირველ ეტაპზე 18 (თვრამეტ)

კონკურსანტს უარი ეთქვა ტესტირების ეტაპზე გადასვლაზე საკვალიფიკაციო მოთხოვნებით გათვალისწინებული საბუთების წარმოუდგენლობის გამო.

104 (ასოთხი) კანდიდატი გადავიდა ტესტირების ეტაპზე.

ტესტირების ეტაპი ჩატარდა მიმდინარე წლის 5 მარტს ქ. თბილისში

იუსტიციის სასწავლო ცენტრის მიერ. ტესტირებაზე არ გამოცხადდა 42 (ორმოცდაორი) კანდიდატი. ტესტირებისთვის დადგენილი მინიმალური ბარიერი

31 ქულა ვერ გადალახა 24 (ოცდაოთხმა) კანდიდატმა.

გასაუბრების ეტაპი ჩატარდა მიმდინარე წლის 1 მაისს ქ. დედოფლისწყაროში.

გასაუბრებაზე 40 კონკურსანტიდან 18 (თვრამეტი) არ გამოცხადდა.

კონკურსის არც ერთი ეტაპის შედეგები არ გასაჩივრებულა.

2015 წლის 13 მაისს საკონკურსო-საატესტაციო კომისიამ დაამტკიცა გასაუბრების საბოლოო შედეგი და მიიღო გადაწყვეტილება 14(თოთხმეტ) ვაკანტურ თანამდებობაზე კანდიდატის დასანიშნად წარდგენაზე. ჩაშლილად გამოცხადდა 4(ოთხი) ვაკანტური თანამდებობა:

1. გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო, ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის მთავარი სპეციალისტი ბიუჯეტისა და პირველადი ბუღალტრული აღრიცხვის საკითხებში;
2. ზედამხედველობის სამსახურის უფროსი სპეციალისტი არქმშენინსპექციის ადგილობრივი გადასახადებისა და ადგილობრივი მოსაკრებლების ადმინისტრირების საკითხებში;
3. სოფელ ზემო ქედის ადმინისტრაციულ ერთეულში დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენელი;
4. სოფელ სამთაწყაროს ადმინისტრაციულ ერთეულში დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენელი;

ხანძრის დროს დედოფლისწყაროში სამი მეხანძრე მოიწამლა

დედოფლისწყაროში, ერთ-ერთ საცხოვრებელ სახლში ხანძარი გაჩნდა, რომელშიც ყველის საწარმო იყო განთავსებული.

„შრაქს" ინფორმაციით, დამწვარია საცხოვრებელი სახლის სახურავი და შენობის მესამე და მეორე სართულების ნაწილი. თვითმხილველების ცნობით, ყველის საწარმო არ დამწვარა.

წინასწარი ინფორმაციით, ხანძრის გამომწვევი მიზეზი ელექტროსადენებია. არსებული ცნობით, ელექტროენერგიის გათიშვის გამო საწარმოში გენერატორი მუშაობდა, ელექტროენერგიის მოსვლის შემდეგ კი სადენებიდან აალება მოხდა.

ცეცხლის ქრობის დროს დედოფლისწყაროს სახანძრო-სამაშველო სამსახურის სამი თანამშრომელი კვამლით მოიწამლა.

როგორც დედოფლისწყაროს საავადმყოფოს ხელმძღვანელმა ხათუნა აგლაძემ „შრაქს" განუცხადა, სამივე მეხანძრე უკვე გაწერეს.

„მავნე აირით გამოწვეული ტოქსიური ეფექტით სტაციონარში სამი მეხანძრე შემოიყვანეს. ვითარება რთული არ იყო, გაეწია პირველადი დახმარება და ამ დროისათვის ყველა მათგანი გაწერილია," — აღნიშნა ხათუნა აგლაძემ.

ძლიერი ხანძრის გამო სამაშველო ჯგუფების გამოძახება მეზობელი რაიონებიდანაც მოხდა.

დედოფლისწყაროს საკრებულოს თავმჯდომარე ზვიად ჯავახიშვილი ამბობს, რომ საწარმოზე ცეცხლი არ გავრცელებულა და მხოლოდ მფლობელის საცხოვრებელი სახლი დაზიანდა.

შსს-ს საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსის სოფიო კობაიძის ინფორმაციით, დედოფლისწყაროში, გამარჯვების ქ.81-ში სამ საურთულიანი სახლის სახურავს 100 კვადრატულ ფართზე ცეცხლი ეკიდა. "შემთხვევის ადგილას დროულად მივიდნენ სახანძრო-სამაშველო ჯგუფები. იქ სულ იმყოფებოდა სახანძროს 6 ავტოცისტერნა, რომელთაგან ორი დედოფლისწყაროს ეკუთვნოდა, დანარჩენი კი გურჯაანიდან, წნირიდან და სიღნაღიდან იყო მისული".

რაც შეეხება ხანძრის გაჩენის მიზეზებს შსს-ში განგვიცხადეს, რომ აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით მოკვლევა მიმდინარეობდა, თუმცა გამოძიება არ დაწყებულა რადგან დაზარალებულებს პრეტენზია არ ჰქონდათ. მათივე ცნობით, დაზარალებულის ინფორმაციით, ხანზარი სავარაუდოდ დაზიანებული ელექტროსადენების გამო გაჩნდა. შსს-ში ამბობენ, რომ ეს გარემოება არ შეიცავს დანაშაულებრივ ფაქტებს.

ილია მარტყოფლიშვილი

საატესტატო გამოცდებში 57 მოსწავლე ჩაიჭრა

დედოფლისწყაროს საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსის ეთერ ზურიკაშვილის განმარტებით, საატესტატო გამოცდებზე წელს დედოფლისწყაროდან 252 მეთორმეტეკლასელი გავიდა, რომელთა შორის რამდენიმე შარშან ჩაჭრილი იყო.

ოფიციალური ინფორმაციით, საატესტატო გამოცდებზე სულ 57 მოსწავლე ჩაიჭრა. ისინი მომავალ წელს ხელახლა დარეგისტრირდებიან და ამ საგნების ჩაბარებას 2016 წლის მაისში შეეცდებიან.

უცხო ენაში 25 მოსწავლე ჩაიჭრა, აქედან 6 ინგლისურ ენაში, დანარჩენი რუსულ ენაში. მათემატიკაში სულ 23 მოსწავლე ჩაიჭრა, ფიზიკაში – 7, ბიოლოგიაში – 2, ქიმიაში – ერთი. ქართულ ენაში სამი მოსწავლე ჩაიჭრა, ერთი გამარჯვების საჯარო სკოლიდან, ხოლო ორი სამთაწყაროს სკოლიდან. ისტორიაშიც – ერთი მოსწავლე ზემო ქედიდან.

დედოფლისწყაროს სკოლებში ბოლო ზარი დაირეკა. სკოლასთან გამოსამშვიდობებელი ღონისძიებები დედოფლისწყაროს მეორე საჯარო სკოლაში 27 მაისს, ხოლო №1 საჯარო სკოლაში 28 მაისს გაიმართა. ღონისძიებებს ხორნაბუჯისა და ჰერეთის ეპისკოპოსი დიმიტრი კაპანაძეც ესწრებოდა, რომელმაც კურსდამთავრებულები დალოცა და წარმატებები უსურვა.

როგორც დედოფლისწყაროს პირველი სკოლის დირექტორმა **ეთერ ოთარაშვილმა** გაზეთ „შირაქს“ განუცხადა, პირველი საჯარო სკოლა ორივე პარალელური კლასიდან 42-მა მოსწავლემ დაამთავრა.

დედოფლისწყაროს მეორე საჯარო სკოლის დირექტორის, **ლალი იაკობიშვილი-ჩერქეზიშვილის** განმარტებით, სკოლას წელს ოცი კურსდამთავრებული ჰყავს, რომელთაც წარმატებით დაძლიეს საატესტატო გამოცდები. მისი თქმით, ეს კლასი ნიჭიერი და ძლიერი ბავშვების სიმრავლით გამორჩეული იყო, მათ სკოლის ისტორიაში თავისი სიტყვა უკვე თქვეს, უამრავი წარმატებით ასახელეს სკოლა

და გულდასაწყვეტია, რომ სკოლას ტოვებენ.

„ჩემი დირექტორობის დროს ეს პირველი კლასია, რომელიც სკოლას ამთავრებს. ძალიან ამაყი ვარ, რომ განსაკუთრებით ძლიერი კლასი გვყავდა.ძალიან შემოქმედებითები არიან და კვლავაც მინდა დიდი წარმატებები ვუსურვო ცხოვრების დიდ გზაზე, რომელზეც ახლა გადიან,“ – აღნიშნა დედოფლისწყაროს №2 სკოლის დირექტორმა.

ძალზე შთამბეჭდავი იყო მეთორმეტეკლასელთა პაროდიები მათივე პედაგოგებზე, მუსიკალური ნომრები და პედაგოგების საყვარელი ფრაზების, თუ კურიოზების გახსენება.

ილია მარტყოფლიშვილი

ბოლო ზარი სკოლებში

(პირველი გვერდიდან)

დამარცხებულად, თუ სირბილს აგრძელებს. ბრმად ნუ დაუჯერებ იმათ, ვინც შენგან დაჟინებით მოითხოვს ყველაფრის დათმობის ფასად მოპოვებულ გამარჯვებებს. ნუ დაუჯერებ, თუნდაც ეს ის ადამიანები იყვნენ, ვისაც, ერთი შეხედვით, შენთვის კარგის მეტი არაფერი სურთ. გახსოვდეს, რომ შეუძლებელია ყველა ბილიკზე ერთდროულად და ერთნაირი სისწრაფით სირბილი, შეუძლებელია ხიდან ყველა ნაყოფის ერთდროულად მოწყვეტა. ჩაები მხოლოდ იმ შეჯიბრში, სადაც საბოლოო შედეგზე პასუხისმგებელი მხოლოდ შენ იქნები.

ეცადე, ყოველთვის ცნობისმოყვარედ დარჩე. ცხოვრების გზაზე მრავლად ჩასაფრებულ წარუმატებლობებს ნუ მიიჩნევ პირად ტრაგედიად; მახვილგონიერება თუ გექნება, მაშინ წარმატებისა და წარუმატებლობისაგან ერთნაირად შეიძლება სასარგებლო სიბრძნე მიიღო. ცხოვრება სავსეა მუხანათობით, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ რომ მას უნდა გაექცე. თუ შენ მართალი ხარ, ეცადე, დაიცვა საკუთარი სიმართლე. სიცოცხლის მიწურულს, როცა საკუთარი ცხოვრების შეფასებას მოახდენ, უნდა იგრძნო ღირსეული სიამაყე. ერთი სიტყვით, ნუ შეგეშინდება, შეაბიჯე ამ ულმობელ, უსამართლო სამყაროში, ცხოვრებას რომ ეძახიან და მხოლოდ საკუთარი თავის იმედი გქონდეს.

მასალა მოამზადა
ინგა შიოლაშვილმა

„პურის, ღვინის და ფოლკლორის ფესტივალი“ – სახალხო ზეიმი დედოფლისწყაროში

უკვე მესამე წელია დედოფლისწყარო 26 მაისს განსაკუთრებით ზეიმობს, ცენტრალურ ქუჩაზე „პურის, ღვინის და ფოლკლორის ფესტივალი“ იმართება, რაც სახალხო დღესასწაულად იქცა.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობამ წარმოადგინა 2014 წელს განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტებისა და 2015 წელს განსახორციელებელი პროექტების ფოტო—გამოფენა, რითაც საზოგადოებას ერთგვარი ანგარიში ჩააბარა.

რუსთაველის ქუჩაზე, მუნიციპალიტეტის ყველა სოფელი და ასევე ქალაქი დედოფლისწყარო ფოლკლორული კუთხითა და სუფრით წარსდგა. ყველა სოფელმა ტრადიციული, ქართული

სამზარეულო და გლეხური და ქარხნული ღვინოები წარმოადგინა. მოგვიანებით ისინი სპეციალურად შექმნილმა ჟიურიმ სხვადასხვა ნომინაციების მიხედვით შეაფასა.

კახეთის გუბერნატორი ირაკლი შიოლაშვილი კმაყოფილია, რომ სახალხო დღესასწაულის შექმნასთან დაკავშირებით მისი ინიციატივა საინტერესო აღმოჩნდა და ტრადიციად დამკვიდრდა.

ირაკლი შიოლაშვილი: „დღეს ყველა მოქალაქეს აქვს ნათელი მომავლის განცდა. მინდა სრულიად საქართველოს მივულოცო დამოუკიდებლობის 24 წლისთავი. ალბათ სიმბოლურია, რომ ამ დღის აღნიშვნა ყველაზე ადრე დედოფლისწყარომ დაიწყო, ანუ, იქ, სადაც მზის სხივი პირველად ეცემა და საიდანაც საქართველო იწყება. ადრე ქვეყნის დამოუკიდებლობის დღე ასე მასშტაბურად არ აღინიშნებოდა. ხედავთ, რომ უამრავი ადამიანი გამოვიდა და მე ამაყი ვარ, რომ ყველას აქვს საშუალება ამ დღეს ქალაქის ქუჩებში ისეირნოს და ყველა სოფლის მიერ წარმოდგენილი კუთხე დათვალიეროს. მართლაც სახალხო დღესასწაული.. ჩვენ დავნერგეთ ახალი ტრადიცია. რომ ჩვენი სახელმწიფო ტექნიკა ვაჩვენოთ, რათა კიდევ ერთხელ გაესვას ხაზი, რომ სახელმწიფო ტექნიკა მზადაა, იყოს სახელმწიფო სამსახურში, მოქალაქეთა განკარგულებაში. ეს ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ხელისუფლება და მოქალაქეები ერთად ზეიმობდნენ ქვეყნის დამოუკიდებლობის დღეს“.

დამსწრე საზოგადოებას დღესასწაული მიულოცა მუნიციპალიტეტის გამგებელმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა, საკრებულოს თავმჯდომარემ ზვიად ჯავახიშვილმა, ხორნაბუჯისა და ჰერეთის ეპარქიის ეპისკოპოსმა,მეუფე დიმიტრიმ და საკრებულოში ქ. დედოფლისწყაროს მაჟორიტარმა დეპუტატმა მიხეილ ბახუტაშვილმა.

ფესტივალი 12 საათზე საქართველოს ჰიმნით გაიხსნა. ღონისძიების წამყვანმა ცარო მარტიაშვილმა, მოწვეულ სტუმრებსა და მონაწილეებს ჟიურის შემადგენლობა ასეთია: თამარ თამაზაშვილი — ჟიურის თავმჯდომარე

წევრები: ციცო ფიროსმანაშვილი — პურის დეგუსტატორი; მაია ბაიდოშვილი — ღვინის დეგუსტატორი; აკაკი მერაბიშვილი — ხელოვნების სკოლის სამხატვრო განყოფილება; აკაკი ნატროშვილი — მუნიციპალიტეტის საკრებულო; მარინა შეითნიშვილი — მუნიციპალიტეტის გამგეობა; ცარო მარტიაშვილი — კულტურისა და ძეგლთა დაცვის ცენტრი; გიორგი ცერცვაძე — ფოლკლორისტი, კულტურისა და ძეგლთა დაცვის ცენტრი.

ჟიურიმ გამარჯვებულები შემდეგ ნომინაციებში გამოავლინა:

ღ ვ ი ნ ო :

საუკეთესო ღვინო — ქარხნული — შ.პ.ს. „მშვიდობა“ — გოგი კიკილაშვილი.

საუკეთესო გლეხური ღვინო — გიორგი ბოსტოღანაშვილი (სოფ.ზემო მაჩხაანი) და გოჩა ყოჩიაშვილი (სოფ. არბოშიკი)

საუკეთესო საფერავი, ნახევრად ტკბილი — „გონაშვილი 4“ — გოდერძი გონაშვილის საოჯახო მარანი.

ალექსანდროული, ნახევრად ტკბილი — ზეზვა მარტიაშვილი (სოფ. ქვემო ქედი)

პ უ რ ი :

ციცო პატატიშვილი — სოფელი არბოშიკი .

ნინო გონაშვილი — სოფელი გამარჯვება

ხათუნა არაბული — სოფელი არხილოსკალო.

გემოვნებით გაწყობილი სუფრა — ქალაქი დედოფლისწყარო.

ფოლკლორული კოლექტივი — სოფელი ოზაანი.

ხალხური რეწვა — სოფელი სამრეკლო

საუკეთესო მხატვრული ნომერი — სოფელი სამთაწყარო

საუკეთესო მხატვრული კოლექტივი — სოფელი ზემო ქედი

საუკეთესო ეროვნული კერძები — სოფელი საბათლო.

საუკეთესო კუთხური კერძები — სოფელი ფიროსმანი

ფოლკლორული კუთხე — სოფელი მირზაანი.

საუკეთესო ნახატი — აკაკი მერაბიშვილი — **ხელოვნების სკოლის სამხატვრო განყოფილება.**

განსაკუთრებული მოწონება დაიმსახურა სოფელ არბოშიკისა და სოფელ გამარჯვების ეთნოგრაფიულმა კუთხეებმა.

საუკეთესო ქიზიყური კუთხე წარმოადგინა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის კულტურისა და ძეგლთა დაცვის ცენტრთან არსებულმა ბავშვთა ხელოვნების სტუდია „არლეკინოს“ პატარა მსახიობებმა.

ჟიურის განსაკუთრებული მოწონება დაიმსახურა, აგრეთვე, **ვალიკო აბაშიძის** (სოფ.ფიროსმანი), **გოჩა ანთაურის** (სოფ. არხილოსკალო) **იაგო ყოჩიაშვილისა** (ქ.დედოფლისწყარო) და **გია ჯამასპიშვილის** (სოფ.არბოშიკი) მიერ წარმოდგენილმა გლეხურმა ღვინომ. ნომინაციებში გამარჯვებულებს გადაეცათ სიგელები და ხატები.

საინტერესო გამოფენებით გამოირჩეოდნენ და ფესტივალში მონაწილეობისათვის მადლობა გამოეცხადათ ხარნაბუჯისა და ჰერეთის ეპარქიის დედებს, ასევე, **გივი ფიროსმანაშვილს** — (ხელნაკეთი ნივთები — ქ. დედოფლისწყარო) მხარეთმცოდნეობის მუზეუმს, საბიბლიოთეკო გაერთიანებას, მწერალთა რაიონულ ორგანიზაციას, მოსწავლე—ახალგაზრდობის სახლს, ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციას. ამასთან, კულტურისა და ძეგლთა დაცვის ცენტრისა და ხელოვნების სკოლის სამხატვრო განყოფილების მიერ მოეწყო ნახატებისა და ნაქარგების გამოფენა.

პარალელურად, ქ. დედოფლისწყაროს №1 საჯარო სკოლის ტერიტორიაზე,მიმდინარეობდა სპორტული შჯიბრებები ქართულ ჭიდაობაში, მკლავჭიდში და ბაგირის გადაწევასა და მასვერსვინგში (მჯდომარე მდგომარეობიდან ძელის გადაწევა). გამოვლინდნენ გამარჯვებულები და დაჯილდოვდნენ სიგელებითა და ხატებით. ასევე, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა ცენტრმა მოაწყო ახალგაზრდა ფოტოხელოვანთა გამოფენა.

ჭიდაობაში პრიზები გათამაშდა 30, 35, 40, 45, 50, 60, 70 და+70 კგ. წონით კატეგორიებში.

შესაბამისად, პირველი ადგილები დაისაკუთრეს არხილოელებმა – **ნიკა ხუზაურაშვილმა, ლაშა სეთურიძემ, გუგა წიკლაურმა, გიორგი ხუციშვილმა, გიორგი თინაშვილმა, გიორგი წიკლაურმა, ბუნტურმა (ზ. ქედი) და გიორგი ზაქაიძემ (ზ.ქედი).**

მკლავჭიდში პირველობა არ დათმეს **ბექა გაგაძემ** (70კგ, ზ. ქედი), **ფარნავაზ ალუღიშვილმა** (80კგ, ქ. დედოფლისწყარო) და **ზაზა კაკალაშვილმა** (+80 კგ, სოფ. არბოშიკი).

ბაგირის გადაწევაში ყველას აჯობა ქ. დედოფლისწყაროს გუნდმა - „ნინოწმინდა“, მეორე ადგილი ასევე დედოფლისწყაროს გუნდმა დაიკავა, მესამე ადგილზე არხილისკალოელები გავიდნენ.

(გაგრძელება გვ.8)

პედაგოგობაში განვლილი ცხოვრება

ქალბატონი, რომელზეც უნდა მოგიყვეთ, პედაგოგიური მოღვაწეობის ათეულ წლებს ითვლის .მან მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება ბავშვთა აღზრდას მიუძღვნა. ქალბატონი ნათელა თამაზაშვილი დედოფლისწყაროს №2 ბაგა - ბაღის მეთოდისტია. მასთან ურთიერთობამ დამარწმუნა, რომ ის თავისი საქმის პროფესიონალია. მისმა სწორმა პედაგოგიურმა მიდგომებმა და მაღალმა მოქალაქეობრივმა შეგნებამ, თავდაპირველადვე მიიქცია ჩემი ყურადღება და მაშინვე მისი თაყვანისმცემელი გავხდი. გავიდა წლები, და ახლა ქალბატონ ნათელაზე მიღებული ჩემი პირველი შთაბეჭდილებები არათუ გაფერმკრთალდა, არამედ უფრო განმტკიცდა და ბევრად მრავალფეროვანი გახდა. უაღრესად ჰუმანური, ყურადღებიანი, მშობლებთან და პედაგოგებთან კონსტრუქციული, ერუდირებული, ხალისიანი, შეგნებული, ტაქტიანი, დისციპლინირებული და, რაც ყველაზე მთავარია, პატარების მოსიყვარულე, - ასე შევაფასებდი დღეს ნათელა თამაზაშვილს, რომელიც ამ დღეებში იუბილარი გახლავთ. მას 8 ივნისს დაბადებიდან 60 წელი, ხოლო პედაგოგიური მოღვაწეობიდან 39 წელი შეუსრულდა. ვფიქრობ, მასთან შემდგარი ინტერვიუ მკითხველის ყურადღების ქვეშ ნამდვილად მოექცევა.

– ქალბატონო ნათელა, მივყვეთ თანმიმდევრობას, მოგვიყევით, სად დაიბადეთ და გაიზარდეთ, ვინ იყვნენ თქვენი მშობლები?

– დავიბადე 1955 წლის 8 ივნისს, წითელწყაროში. ხალისიანი და ლაღი ბავშვობა მქონდა. დედა მედიცინის მუშაკი გახლდათ, მამა - ბუღალტერ - ეკონომისტი. მშობლები ძალიან მიმტევებელი ხასიათის იყვნენ, კეთილი, წყნარი და მშვიდი დედ - მამა მყავდა. მე და ჩემს ძმას ისე გვეპყრობოდნენ, როგორც დიდებს. მყუდრო გარემოში გაგვზარდეს. პირველად თბილისში ფუნიკულიორზე რომ წაგვიყვანეს, ექვსი წლის ვიყავი და დღემდე მახსოვს ის დღე. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ბედნიერი ბავშვობა მქონდა. სკოლის წლები ყველაზე ლამაზი წლები იყო ჩემს ცხოვრებაში, იმ წლებს ნაყოფიერად შევაფასებდი,რადგან მიმაჩნია, რომ თუკი რამ საფუძველი მაქვს სწავლაში, ეს სკოლის წლებიდან მომდევს. ყველა საგანს კარგად ვსწავლობდი, გარდა მათემატიკისა. აქტიური კლასი გვქონდა, ბევრმა დაამთავრა ოქროს მედალზე, არც მე ჩამოვუვარდებოდი მათ, დღეს ბევრი ცნობილი ადამიანი ჩემი კლასელია და ვამაყობ მათით. კლასელებს დღემდე დიდი მეგობრობა გვაკავშირებს, ჩვენ ერთმანეთის უთქმელად გვესმის და ეს უმთავრესი შტრიხია ჩვენი საუკეთესო ურთიერთობისთვის.

– როგორ გაიხსენებდით სკოლის შემდგომ ეტაპს?

– თავდაპირველად მსახიობობა მინდოდა, თუმცა ეს მცდელობა ვერ გავამართლე. მერე პედაგოგობა მომინდა, თბილისის იაკობ გოგებაშვილის პედაგოგიურ სასწავლებელში ჩავაბარე, შემდეგ პუშკინის პედაგოგიურ ინსტიტუტში სკოლამდელი აღზრდის პედაგოგის და ფსიქოლოგიის ფაკულტეტზე ვსწავლობდი. დამთავრებისთანავე დავიწყე მუშაობა მეთოდისტად. პირველად ვაშლოვანის ოფისის ადგილას მდებარე საბავშვო ბაგა - ბაღში ვმუშაობდი, მერე სოფელ სამრეკლოს ბაგა - ბაღში, შემდეგ კი აქ, ქალაქის ნომერ მეორე ბაგა - ბაღში მოვედი და მას მერე 33 წელია, აქ ვარ. ჩემს პედაგოგად ჩამოყალიბებაში დიდი როლი ითამაშა მაყვალა პოპიაშვილმა - გველუკაშვილისამ, რომელმაც მაზიარა სკოლამდელი აღზრდის პედაგოგიურ საქმეს. მადლობა ზესნა ტოკლიკიშვილს, ყოფილ დირეტორს, რომელიც 30 წელი მართავდა ამ ბაღს, ჩვენს შორის იმდენად კარგი ურთიერთობა და ნდობა იყო, რომ, როცა შეხვედრაზე ან მივლინებაში მიდიოდა, თამამად მაბარებდა საბავშვო ბაღს. ეს ნდობა ჩემთვის ძალიან დიდი პატივი იყო. აქვე მინდა გავიხსენო ჩვენი ბაღის ძველი კოლექტივი და თითოეულ თანამშრომელს მინდა მადლობა გადავუხადო იმ დიდი კოლეგიალობისა და ურთიერთობისთვის, რაც ამ ბაღის პედაგოგიურ კოლექტივში სუფევდა. მადლობა მინდა ვუთხრა ახლანდელ პედაგოგებს. განსაკუთრებული შთაბეჭდილებების ქვეშ ვარ დღევანდელ დირექტორზე, ქალბატონ მანანა ტოკლიკიშვილზე, რომელმაც კარგი აურა შემოიტანა ჩვენს საბავშვო ბაღში.

– რას იტყვით თქვენი ოჯახის შესახებ?

– 1992 წელს, სამსახურებრივ მოღვაწეობის პარალელურად დავოჯახდი. ჩემი მეუღლე ვლადიმერ ბოლღაშვილი ამჟამად თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ნაწილში მუშაობს. რაც შეეხება შვილებს, გოგონები მყავს, უფროსმა გოგონამ ეთერ ბოლღაშვილმა სკოლის შემდეგ კოლეჯში გააგრძელა სწავლა და სასტუმრო საქმის მენეჯერის პროფესიას დაეუფლა. სასწავლებლის დამთავრებისთანავე ოჯახი გიორგი ქემაშვილთან ერთად შექმნა, მათ ჰყავთ ერთი შვილი და ჩემთვის საყვარელი შვილიშვილი - ლაზარე; მეორე გოგონა თამარ ბოლღაშვილი ილიას უნივერსიტეტში ბიზნეს - ადმინისტრირების ფაკულტეტის მესამე კურსის სტუდენტია. იგი თავდაპირველადვე 50% თანადაფინანსებით მოეწყო უმაღლესში და მიხარია, რომ მან ეს შეძლო. იმედი მაქვს, მისი სწავლა - განათლების საქმე წარმატებით დასრულდება და ის კარგ პროფესიონალად ჩამოყალიბდება.ზოგადად მინდა აღვნიშნო, რომ მე და ჩემმა მეუღლემ შვილები მყუდრო და თბილ გარემოში აღვზარდეთ, რაც მთავარია შევაყვარეთ წიგნი, შრომა და ადამიანების სიყვარული. ვფიქრობ, სწორი აღზრდა საკმარისია იმისთვის, რომ მათ ცხოვრების გზა თავად და ამავე დროს სწორად გაიკვლიონ.

– როგორია თქვენი ერთი რიგითი დღე, რას ნიშნავს თქვენთვის სამსახურში ყოველდღიური გამოსვლა და რა პასუხისმგებლობაა ერთდროულად წარმატებით გაუძღვე ოჯახს და პედაგოგობას?

– ჩემი ყოველი დღე ასეთია, დილით ადრე მოვდივარ სამსახურში, ვხვდები ჩემს პატარებს, კოლეგებს და მათთან გაღიმებით იწყება ყოველი დილა. ჩემს ხელში თაობები აღიზარდნენ. პედაგოგები კარგად იცნობენ თავიანთი აღსაზრდელების ფსიქოლოგიას და მათ ჩამოყალიბებაზე შვილებივით ზრუნავენ.

დამისახლეთ ნებისმიერი ბავშვის სახელი და გვარი, რომელმაც ეს ბაღი დაამთავრა, თუნდაც წლები იყოს გასული მისი ბავშვობის ასაკიდან და მე მათ მაშინვე აღვიდგენ. ვიცი თითოეული მათგანი ვინ არის. მახსოვს თითოეულის დედაც, თუკი დედა აქტიურად იყო ჩართული ბავშვის აღზრდის საკითხებში. მე ყოველთვის დადებითად ვაფასებ დედებს, რომლებიც ხშირად შემოდიან, კითხულობენ და ცდილობენ ჩაერთონ თავის შვილის სწორად ფორმირების საკითხებში. სამსახურიდან სახლში ძალიან დაღლილი მივდივარ, იმდენად დაღლილი, რომ თუ ცოტა არ დავისვენე საოჯახო საქმეებს ვეღარ ვუმკლავდები, წლებს თავისი მიაქვს, როცა ახალგაზრდა ასაკში ვიყავი, მაშინ დაღლასაც ვერ ვგრძნობდი, თუმცა ენერგიის დახარჯვა ისეთი თვალხატულა ბავშვებისთვის, რომელთა ანთებულ თვალებს მეორე დღით ისევ დავინახავ, ნამდვილად ღირს, რადგან მათზე დახარჯული ენერგია მეორე დღის ჩემს პედაგოგიურ პროდუქტიულობას აორმაგებს. რაც შეეხება იმას, თუ რამდენად წარმატებით ვართმევ თავს ჩემს სამსახურებრივ მოვალეობას, ეს თავად საზოგადოებამ, პედაგოგიურმა კოლექტივმა, მშობლებმა და თაობებმა უნდა შეაფასონ. თუ ჩემს შრომას ადამიანები დადებითად შეაფასებენ, უაღრესად ბედნიერ ადამიანად ჩავთვლი თავს.

–– გარდა იმისა, რომ წლების მანძილზე ბავშვთა აღზრდას ემსახურებით, ალბათ გაგაჩნიათ თქვენი საყვარელი საქმე, რაც სიამოვნებას განიჭებთ, რა არის ეს საქმე?

– მიყვარს მუსიკა, პოეზია, ლიტერატურა, წიგნი და ისევ წიგნი. სკოლის ასაკიდან ძალიან ბევრი ნაწარმოები მაქვს წაკითხული და ამას ახლანდელი თაობის ფონზე, ჩვენი თაობის დიდ პოზიტივად მივიჩნევ. მაშინ, ძალიან მოდაში იყო ლიტერატურის კითხვა, ღამეებს ვათენებდით კითხვაში, რა წიგნი უნდა გამოსულიყო, რომ არ წაგვეკითხა, მერე მეგობრები ერთად განვიხილავდით ამა თუ იმ ნაწარმოებს და გვქონდა დიდი პაექრობა. წიგნი აკეთილშობილებს ადამიანს და სხვა სამყაროში აცხოვრებს, ისეთ სამყაროში, რომელიც ცუდს არაფრით არ გაგაკეთებინებს. ის გასწავლის, როგორ უნდა იყო დადებითი და ყველასთვის მისაღები პიროვნება. სხვათაშორის წიგნს და კითხვას დღემდე თავისი ადგილი უკავია ჩემს ცხოვრებაში და შვილებიც ასე აღვზარდე, რითიც ვამაყობ!

– რაც შეეხება ბაღის ახლანდელ მდგომარეობას, როგორია ის უწინდელთან შედარებით, რამდენად გაკმაყოფილებთ პედაგოგების მიდგომები ბავშვთა აღზრდის საკითხებში, როგორია კვების რაციონი, რამდენად შეესაბამება თქვენი ბაგა - ბაღი თანამედროვე სტანდარტებს, იღებს თუ არა №2 ბაღი უნარშეზღუდულ ან დაუნის სინდრომის მატარებელ ბავშვებს, გყავთ თუ არა უმცირესობებისთვის აყვანილი ცალკე პედაგოგი?! მოგვიყევით ამ საკითხებზე.

– მოგეხსენებათ, კომუნისტების დროიდან ბაგა - ბაღში ვარ, გამოვიარეთ ისეთი წლებიც, როდესაც მშობლებს მოჰქონდათ სახლიდან პროდუქტი, ისეთი წლებიც, რომ მშობელი 5 ლარს გადასახადს ვერ იხდიდა და მის მაგიერ კვების პროდუქტები შემოჰქონდა. ვნახეთ ის წლებიც, როდესაც ბაღებში ვითომ ყველაფერი იყო და სინამდვილეში უკარტოფილო სუპის ანაბარა დარჩნენ პატარები. ამ ყველაფრის შემდეგ უფალს ვწირავ მადლობას, რომ ამ დროსაც შემასწრო, რომ ზოგადად საბავშვო ბაგა - ბაღებში მდგომარეობა მკვეთრად გაუმჯობესდა, ეს ალბათ ყველაზე შორიდან მაყურებელი ადამიანის თვალისთვისაც საუკეთესოდ ჩანს, თუმცა, ბევრმა არ იცის თუ რამდენად კარგისკენ შეიცვალა შიგნით ყველაფერი. თითოეულ ნიუანსს, თითოეულ საკითხს მიექცა ყურადღება, უნდა ითქვას 180 გრადუსიანი შემობუნებაა. ყველაფერი იმდენადაა მოწესრიგებული უწინდელთან შედარებით, რომ შედეგი აშკარად შეიგრძნობა, შედარებაც არ შეიძლება. ჯერ მხოლოდ ის რად ღირს, რომ თითოეულ ბავშვზე 300 - ზე იყო კალორიები და ახლა 1000 - ზეა ასული, კომუნისტების დროსაც არ იყო ასეთი მაღალკალორიული კვება როგორიც დღეს გვაქვს. ნიშანდობლივია ისიც, რომ ყველანაირად ჯანსაღი პროდუქტია შემოსული, ხორცი, კარაქი... აღარ ჩამოვთვლი დაწვრილებით. მოგეხსენებათ გაიზარდა ჯგუფების რაოდენობა, თითოეული ჯგუფი ძალიან თანამედროვე სტანდარტებითაა აღჭურვილი, მოწესრიგებულია სველი წერტილები. ერთადერთი, რაც ჩვენს ბაგა - ბაღს აკლია სამზარეულოს კეთილმოწყობაა და რამდენადაც ვფლობ ინფორმაციას, პროექტში ჩადებულია სამზარეულოს განახლება და მალე დარწმუნდებით, რომ ჩვენი ბაღი მთლიანად იქნება განახლებული.

– რაც შეეხება სწავლების მეთოდს და პედაგოგებს, აქ როგორ დგას საკითხი?

– ამჯერად, იცით თქვენ, რომ ახლებური მეთოდით ვმუშაობთ, ადრე პედაგოგს რაიმე სახელმძღვანელოც კი არ ქონდა, რითაც ისარგებლებდა, ამ ეტაპზე ახალი წიგნებით ვხელმძღვანელობთ, ძალიან კარგი ჩართულობაა საბავშვო ბაღის ბავშვებისგან, პედაგოგებისგან. ახალი კადრები გვყავს და მათი ჩემთან როგორც მეთოდისტთან თანამშრომლობას დადებითად შევაფასებდი. თავად პედაგოგები მონდომებულები და ყოველმხრივ მომზადებულები გახლავთ. საქმის მცოდნეები არიან და ეს ყველაფერი კარგადაც აისახება იმაზე, რასაც სასწავლო - სააღმზრდელო მუშაობა ჰქვია ჩვენს ბაღში. ხშირად ტარდება შემაჯამებელი და ღია აქტივობები, რასაც აუცილებლად ესწრებიან სააღმზრდელო ცენტრიდან. მისასალმებელია მშობლების ჩართულობაც ბავშვთა აღზრდაში. როგორც მეთოდიტს მინდა გითხრათ, ახლანდელი ბავშვები მეტი აქტიურობით გამოირჩევიან. ქცევის წესები სხვანაირი აქვთ, ამიტომ ქცევის წესებზე უნდა იყოს ყურადღება გამახვილებული. თუ ბავშვი ცუდად იქცევა, მაშინ მისი აქტივობიდან გათიშვა უნდა მოახდინოს პედაგოგმა, რადგან, მან უნდა იცოდეს, რომ ცუდი საქციელისთვის ის აუცილებლად დაისჯება, თუ პატარა თავის ნებაზე მივუშვით და ყველაფერი ყოველთვის ვაპატიეთ ან შევუსრულეთ, ეს აუცილებლად მისთვისვე ცუდად აისახება. გააქტიურებულია ფისკულტურული ჩართულობა. დილის ვარჯიში განრიგში გვაქვს ჩასმული, გვყვავს ჩვენი ფსიქოლოგი ქალბატონი თამილა ლეკაშვილი; ექიმი - ქალბატონი მანანა ბეგლარიშვილი და ასევე გვყვავს ექთანი. ბაღში უწინდებურად აღარაა შეზღუდვა და ჩვეულებრივად დაიშვებიან აუტიზმის მატარებელი ბავშვებიც, რადგან ჩვენ, როგორც საზოგადოება, ვალდებული ვართ, რომ მათ გარემშემომყოფ ადამიანებთან ადაპტაციაზეც ვიფიქროთ. მათთვის ცალკე ფსიქოლოგი ირინა ფიროსმანაშვილი გვყვავს მოწვეული, რომელიც უტარებს აქტივობებს.

– დღევანდელი ბავშვები ძალიან დიდი თავისებურებებით გამოირჩევიან, ადვილად სწყინთ, ადვილად ღიზიანდებიან და ძალიან მომთხოვნები არიან. როგორც მეთოდისტი, ხომ არ ურჩევდით რაიმეს მშობლებს საკუთარი შვილების აღზრდის საკითხებში?

– ჩემი მუშაობის პრაქტიკიდან გამომდინარე, ვხედავ და მიხარია, რომ მშობლები ყოველთვის თანამშრომლობენ ჩვენს პედაგოგებთან, ისინი მოდიან თანხვედრაზე და ასეთი ჩართულობა ძალიან კარგ შედეგს იძლევა. მე ვურჩევდი მშობლებს, რომ უფრო მეტად მობილიზებულები და მოწესრიგებულები იყვნენ ბავშვებთან მიმართებაში, ბევრი დრო დაუთმონ შვილების აღზრდა - განათლების საკითხებს და მათი სურვილი, რომ კარგი შვილები აღზარდონ, აუცილებლად გამართლდება. ვეთანხმები იმას, რომ დღეს ბავშვები მეტად აგრესიულები გახდნენ, გართულდა მათი აღზრდა, მაგრამ პატარებს ხომ ძალიან ცოტაც აკმაყოფილებთ. თუ ბავშვი გაიხსნა თქვენთან, ან ითხოვს თქვენს ჩართულობას, არ დაიზაროთ, ჩაერთეთ მასთან ერთად თამაშში. თუ რაიმეს დაჟინებით ითხოვს, იქნებ გადატანის მეთოდით ასე აუხსნათ, - მოდი, ეხლა ჩვენ ეს გავაკეთოთ, ვითამაშოთ ჭურჭელით? აბა, დავთვალოთ თოჯინები, რამდენი თოჯინა გყავს? იქნებ ჯერ დაწმინდო ჭურჭელი, ჩაალაგო შენს ყუთში, იქნებ დააძინო თოჯინა და მერე მიიღებ შენს სასურველ ნივთს. ნუ ეტყვით ბავშვს უარს თამაშზე, ის თავისი სამყაროთი ცხოვრობს და ნუ დაუნგრევთ მას იმ ზღაპრულ სამყაროს, დაე, ეთამაშეთ და შეძვერით თქვენც მაგიდის ქვეშ, თუკი ის ამას ითხოვს. შვილებისთვის უნდა იყოთ მეგობრები, მაგრამ ამავე დროს ბავშვმა უნდა იცოდეს, რა შეიძლება და რა არა! მე გირჩევთ, არ შეუსრულოთ ყველაფერი ბავშვს, მაგრამ არც კატეგორიული უარი უთხრათ. ეცადეთ ყურადღების გადატანის მეთოდით დაავიწყოთ მისი კაპრიზები. გახსოვდეთ, თუ ბავშვი მტრულ გარემოში გაიზარდა და დაკომპლექსდება, მას ცხოვრების მანძილზე ექნება რთული პერიოდებიც, მაგრამ, თუ იგი კეთილგანწყობილი გარემოში გაიზარდება, ის აუცილებლად ლაღი და ამავე დროს წესიერი მამულიშვილი დადგება.

ლალი მეხრიშვილი

დიასპორის კვირეული

„როგორც უფალი, სამშობლო ერთია ქვეყანაზედა“...

საქართველოს დამოუკიდებლობის მეორე დღე -27 მაისი ქართული დიასპორის დღედ გამოცხადდა. „გაუზიარე გამოცდილება სამშობლოს“ არის დიასპორის კვირეულის მთავარი დევიზი, ხოლო დიალოგი დიასპორულ ინვესტიციებზე, ახალ რეგულაციებზე, რომლებიც საქართველოს მხრიდან ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების ხელმოწერის შემდეგ შევიდა ძალაში-ეს ის თემებია, რომელსაც მიეძღვნება მთლიანად დაისპორის კვირეულის პროგრამა.

დიასპორა ბერძნული სიტყვაა და „გაბნევას“ ნიშნავს. თანამედროვე მსოფლიოში პირველი დიასპორის ფუძემდებლები ებრაელები იყვნენ, მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში სხვადასხვა ერისა თუ ქვეყნის მაცხოვრებელთა დიასპორა არსებობს, გამონაკლისი არც საქართველოა და იგი მსოფლიოს 30-ზე მეტ ქვეყანაშია განთავსებული.

მოსახლეობის „გაბნევა“, გადასახლება შეიძლება რამდენიმე მიზეზით იყოს გამოწვეული, ესაა იძულებითი გადასახლება, გენოციდის საფრთხე და ეკონომიკურ-გეოგრაფიული ფაქტორების ზემოქმედება.

პოლიტიკურ მეცნიერებაში „დიასპორა“ ნიშნავს ეთნიკური უმცირესობის ჯგუფს, რომელიც გადასახლდა, ცხოვრობს და მოღვაწეობს მიმღებ ქვეყანაში, ამასთან, აქვს ძლიერი სენტიმენტალური და მატერიალური კავშირი სამშობლოსთან.

ადამიანთა გადაადგილება ერთი ქვეყნიდან მეორეში სხვადასხვა მიზეზით, საუკუნეთა მანძილზე მიმდინარეობდა. ჩვენს ქვეყანაში სამი ტიპის ემიგრაცია განხორციელდა:კულტურული, პოლიტიკური და სოციალური. მათ შორის მხოლოდ კულტურული ემიგრაცია ითვლება ნებაყოფლობითად, დანარჩენი ორი იძულებითია.

კულტურული ემიგრაცია მოიცავს ქართველი ხალხის კულტურულ- საგანმანათლებლო და რელიგიურ მოღვაწეობას ქვეყნის ფარგლებს გარეთ, ხოლო პოლიტიკური ემიგრაცია დაკავშირებული იყო საქართველოს, როგორც სახელმწიფოს ტრაგედიასთან.

პირველი ასეთი ემიგრაცია 1724 წელს განხორციელდა მეფე ვახტანგ მეექვსის დროს, როდესაც იგი 1000 კაციანი ამალით წავიდა სამშობლოდან და ქვეყანა ინტელექტისგან დაიცალა, მეფე ვახტანგთან ერთად სამშობლო დატოვეს სულხან-საბა ორბელიანმა, ვახუშტი ბატონიშვილმა და სხვებმა.

საბჭოთა კავშირის დაშლის წინ, ქართველთა 97% თავის სამშობლოში, საქართველოში ცხოვრობდა და მსოფლიოში ერთ-ერთ კონსოლიდირებულ ერად ითვლებოდა, თუმცა, შემდგომ ათწლეულში ვითარება მკვეთრად შეიცვალა და ემიგრაცია ძირითადად სოციალური ხასიათისა გახდა, ქვეყანა ამ მიზეზით მილიონზე მეტმა ადამიანმა დატოვა.

დიასპორის სამინისტროს აქტიური მუშაობითა და ინტერნეტსივრცის მეშვეობით, დღეს საქართველოდან რამდენიმე წლის წინ წასული ქართველებისთვის სამშობლოსთან გაუცხოების პრობლემა აღარ არსებობს, მათი დიდი ნაწილი კი აქტიურ მოღვაწეობას ეწევა ქართული კულტურის პროპაგანდისა და განვითარებისათვის, იქმნება კულტურის ცენტრები, აყალიბებენ ენის შემსწავლელ წრეებს, შემოქმედებით გაერთიანებებს და ა.შ.

ქართველი ემიგრანტებისთის ყველაზე საიმედო ადამიანი ჩვენს ქვეყანაში საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქია, ამაზე რეიტინგებიც მეტყველებს და ქართველების ბუნებრივი თავშეყრის ადგილიც დღეს მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში ჩვენი, ქართული ეკლესიაა.

27 მაისს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში პირველ დიასპორულ-პროფესიულ ფორუმზე პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა თავის გამოსვლაში განაცხადა:

-„ოფიციალური მონაცემებით დღეს საქართველოში 3,7 მილიონი მოქალაქე დავრჩით, მილიონზე მეტი მოქალაქე ქვეყნიდან წასულია, რაც კატასტროფაა, ვეძებთ იდეას, რაც იქნება მათთვის მთავარი მამოძრავებელი ძალა სამშობლოში დაბრუნებისა. ჩვენ ჩვენი მოქალაქეების სახით გვყავს უზარმაზარი რესურსი, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ და ვერ წარმომიდგენია, როგორ უნდა მოხდეს ქვეყნის განვითარება მათი ჩართულობის გარეშე...ქართულ მიწას აქვს განსაკუთრებული მიზიდულობა, ხოლო თითოეულ ქართველს აქვს განსაკუთრებული გრძნობა და ნოსტალგია სამშობლოს მიმართ. მათთვის საქართველოს ხელისუფლების კარი ღიაა, სამშობლოში დასაბრუნებლად ნუ დაველოდებით რაღაც განსაკუთრებულის მოხდენას, თითოეული დღე ჩვენი სამშობლოსთვის მნიშვნელოვანია, ჩვენს ხელთ არის ჩვენი მომავალი“- ასეთი მესიჯით მიმართა უნივერსიტეტის კედლებიდან პრემიერმა უცხოეთში მყოფ ქართველებს და სამშობლოში მალე დაბრუნებისკენ მოუწოდა მათ.

-„ჩვენ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ,რომ გაძლიერდეს მათში ეროვნული თვითშეგნება , გაიგონ, ვისი მიწაწყლისანი არიან, გაიგონ, რომ,როგორც უფალი, სამშობლო ერთია ქვეყანაზედა, რათა მალე დაუბრუნდნენ საქართველოს. სამშობლოში ბევრი რამ არის გასაკეთებელი, რომელიც მათ უნდა გააკეთონ“-ამ სიტყვებით უნივერსიტეტიდან საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა მიმართა ქვეყნიდან წასულ მოქალაქეებს.

„-პირველ რიგში, მონატრების გრძნობა გვაქვს, მთელი ოჯახი აქ ვართ,მაგრამ ყველაფერი გვენატრება, სულიერიც და უსულოც...

შევისისხლხორცეთ ინგლისური ენა, მაგრამ ვფიქრობთ ქართულად და ვაზროვნებთ ქართულად. ჩემთვის ერთი დღეც არ არსებობს , რომ სამშობლოში დაბრუნებაზე არ ვიფიქრო, თუმცა, ჯერჯერობით ამის პერსპექტივას ვერ ვხედავ...

-ვინატრებდი, ისეთ სამშობლოში დაბრუნებას, სადაც მოქალაქეებს შეეძლებათ თავი სრულიად დაცულად იგრძნონ, სადაც ემიგრანტების სამშობლოში ყოფნა უვადოდ განისაზღვრება და არა მხოლოდ 3 თვით,როგორც უცხო ქვეყნის მოქალაქეებისა, სადაც ჩვენს დასაქმებაზე და ცხოვრების პირობების გაუმჯობესებაზე იზრუნებენ, რადგან თითოეული ოჯახის სიძლიერე სახელმწიფოს ძლიერებას ნიშნავს...“ეს სიტყვები წლების წინ ოჯახით წასულ ჩვენს თანამოქალაქეს ეკუთვნის, რომელსაც უსაზღვროდ ენატრება სამშობლოში ყოფნა.

არის თუ არა დამოკიდებულება ასეთივე ყველა ემიგრანტის, სურთ თუ არა სამშობლოში დაბრუნება უცხოეთში დამკვირებულთ და რეალურად აკეთებენ თუ არა რამეს დასაბრუნებლად?

რა მივეცი მე ჩემს სამშობლოს ისეთი, რომ მისგან ასე ბევრს ვითხოვ, რატომ მაქვს ჩემი ქვეყნისადმი მომხმარებლური დამოკიდებულება, თითოეულ ჩვენგანს ხომ ჩვენი ვალი გვაკისრია ჩვენი სამშობლოს წინაშე და თუ ამ ვალს ყველა პირნათლად შევასრულებთ, ჩვენი ქვეყანაც მალე წელში გაიმართება, გაძლიერდება და აუცილებლად სიკეთეს სიკეთით დაგვიბრუნებს!

ელზა ხარაშვილი

ბავშვთა დღის მიღმა დარჩენილები

1 ივნისი ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეა. ეს თარიღი საქართველოშიც აღინიშნება, თუმცა, კონცერტებისა და საზეიმო ღონისძიებების მიღმა უამრავი პრობლემა არსებობს, რომელიც უშუალოდ ბავშვებს ეხებათ.

საქართველოში კვლავ რჩებიან ბავშვები, რომლებიც შიმშილით სიკვდილისთვის არიან განწირულნი, არიან მაწანწალა, ეგრეთ წოდებული „ქუჩის ბავშვები“, რომლებიც თავს მათხოვრობით ირჩენენ და ხშირ შემთხვევაში ოჯახების ერთადერთ მარჩენალადაც გვევლინებიან. არიან ბავშვები, რომელთაც დედის და მამის სითბო ენატრებათ, რადგან საზოგადოებამ თავიანთ მშობლებთან ერთად გამოუტანა განაჩენი და საბავშვო სახლებში „უკანონო ბავშვების“ დამღით გაამწესა... ჩვენი ქვეყნის რეალობისთვის უცხო არაა უკიდურესი სიღარიბის პრობლემა, რის გამოც ბევრ მშობელს უჭირს შვილებისთვის საბაზისო განათლების მიღების საკითხის მოგვარება. სწორედ იმ პრობლემის გამო, რომ ოჯახი ვერ ყიდულობს მისთვის წიგნს, სასკოლო ფორმას, ჩანთას.. ასევე ძალიან ხშირია, როდესაც მშობლებს არანაირად არ აწუხებს, ბავშვი ივლის თუ არა სკოლაში და ისწავლის თუ არა. ისინი პირიქით, მოტივაციასაც აძლევენ ბავშვებს, რომ ქუჩაში გავიდნენ და იქ იმუშაონ. ეს არის მიზეზი, რომ უამრავი ბავშვი ცხოვრობს და მუშაობს ქუჩაში...

ე.წ. “ქუჩის ბავშვების” პრობლემა კვლავ გადაუჭრელია, სტატისტიკა კი — უცნობი...

“ქუჩის ბავშვად მიიჩნევიან ბავშვები, რომლებიც დღედაღამ დამოუკიდებლად ცხოვრობენ ქუჩაში, ასევე, ვინც ოჯახში ცხოვრობს, მაგრამ პერიოდულად მოწყალებას ითხოვს სახლის გარეთ და ასრულებს სხვადასხვა ტიპის სამუშაოს“-ესაა მოკლე განმარტება...

მაწანწალობის მიზეზი ბავშვებში მრავალფეროვანია. მათი დემოგრაფიული მონაცემების ანალიზის მიხედვით, უმრავლესობას ერთი მშობელი მაინც ჰყავს, ძირითადად დესტრუქციული ოჯახებიდან არიან... სიღარიბესა და სოციალურ-ეკონომიურ გაჭირვებასთან ერთად ისინი ხშირად ემოციური, ფიზიკური და რიგ შემთხვევებში, სექსუალური ძალადობის მსხვერპლნიც ხდებიან. ამ ბავშვებს ქუჩაში ნებისმიერი სახის სამუშაოს შესრულება უწევთ...

თავიანთი ტრავმული მდგომარეობიდან გამომდინარე, მათ აქვთ ძირეული პრობლემები: ემოციური, ქცევითი სირთულეები, რაც ვლინდება წესებისადმი დაუმორჩილებლობაში. პედაგოგიური ჩამორჩენიდან მომდინარეობს კოგნიტური პრობლემები, განრიდებულნი არიან სასკოლო პროცესიდან...

ბავშვები, რომლებიც მუდმივად ქუჩაში ცხოვრობენ, ღამეს სხვადასხვა ტიპის სარდაფებში, მიტოვებულ შენობებში ათევენ. მათ აქვთ ჯგუფური ცხოვრების წესი და ხშირად, სამწუხაროდ, ბევრი მათგანი ტოქსიკომანად ყალიბდება, არიან წებოზე დამოკიდებულნი...

როდის ახსენდებათ საქართველოში სოციალურად დაუცველი მოზარდები, გარდა პირველი ივნისისა? — ამ შეკითხვას გაერო-ს მიერ მომზადებული კვლევის მიხედვით შეგვიძლია გავცეთ პასუხი. 50 ათასი ბავშვი უკიდურეს სიღარიბეში ცხოვრობს, - აღნიშნული სტატისტიკა არ არის ახალი ამბავი და შესაბამის უწყებებს არც ის გაუკვირდებათ, თუ ვიტყვით, რომ მოზარდების ნაწილი დღეში 2 ლარზე ნაკლებს მოიხმარს. გაერო-ს ფონდი გვამცნობს, რომ ბოლო ორი წლის განმავლობაში მსოფლიოში ოთხჯერ შემცირდა ბავშვთა უკიდურესი სიღარიბე, თუმცა მისი დონე საქართველოში, სხვა ქვეყნებთან შედარებით, ისევ მაღალია.

საქართველოში 77 000 ბავშვი - უკიდურეს სიღარიბეში, დაახლოებით 1600 კი ქუჩაში შრომობს და ცხოვრობს. თუმცა, ეს მონაცემები არ ასახავს რეალობას. ის გაცილებით მძიმეა...

ხელისუფლების წარმომადგენლები და ამ საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციები ბჭობენ სოციალურად დაუცველი ბავშვების პრობლემებზე, თუმცა, როგორც რეალობა გვიჩვენებს, გაცილებით მეტია გასაკეთებელი ამ კუთხით, როგორც კანონმდებლობის დახვეწის მიზნით, ასევე საზოგადოების დამოკიდებულების შეცვლის თვალსაზრისითაც.

1 ივნისი ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეა, მაგრამ ამ დღით გახარებაც მხოლოდ იმ ბავშვებს შეეძლებათ, რომელთაც არც ისე აკლიათ სიყვარული და მზრუნველობა. მათთვის კი, ვისაც ყოველდღიურმა გაჭირვებამ ბავშვობა დაავიწყა, ბავშვთა დღის ხიბლი კვლავ უცხო დარჩება...

ინგა ჟიოლაშვილი

როგორ უნდა იყოს მოწყობილი სახლში ხატების კუთხე - ამ წესების გარეშე ეს კუთხე, უბრალოდ, გამოფენაა

დღეს ძალიან ბევრ ოჯახში შეხვდებით ხატებით გაფორმებულ სალოცავ კუთხეს. ვინაიდან არ გვაქვს საშუალება, რომ ყოველ დილა-საღამოს ტაძარში ვიაროთ, ხატების სახლში ქონა აუცილებელი ხდება, თუმცა ყველამ არ იცის, რომ ამ კუთხის მოწყობას თავისი წესები აქვს.

- ხატები ერთგვარი "ფანჯარაა", რომლის საშუალებითაც მიღმიერ სამყაროს ვუკავშირდებით. კუთხის დანიშნულებაა ოჯახი ბოროტისგან დაიფაროს, გაამხნევოს და ლოცვისკენ მოუწოდოს, სურვილი აღუძრას ღვთის ხმობისა. შფოთი, კონფლიქტი, სიგარეტის მოწევა, ლოთობა და ღრეობა ოჯახში არღვევს სულიერ ატმოსფეროს.

ოჯახის ერთ-ერთი ძირითადი წარმმართველი ძალა მორჩილებითი ლოცვაა. ოჯახის წევრებს ვურჩევთ, რომ ერთად წარდგნენ ღვთის წინაშე, ეს ერთობა ერთსულოვნების "მასტიმულირებელია", თან ლოცვის შემდეგ უნდა მივიღოთ ნაკურთხი წყალი და სეფისკვერი. ლოცვის დამთავრებისას ერთმანეთისგან შენდობა ვითხოვოთ განვლილი ღამისთვის და დილის ლოცვის შემდგომ მომავალი დღე ვუკურთხოთ სამსახურსა და სასწავლებელში წამსვლელთ. ასე იქმნება სალოცავი კუთხე.

თავისთავად "კუთხე" ვერ იქნება სამლოცველო, თუ იქ არ სრულდება ლოცვა, სახარების კითხვა, გალობა და ა.შ. ჩვენ ვქმნით უფალთან კომუნიკაციის საშუალებას, ხოლო უფალი თავის მხრივ გვიწყალობებს სიხარულსა და ცხონებას.

- როგორ მოვაწყოთ სალოცავი კუთხე?

- ყველაზე მაღალ ადგილას განთავსდება ჯვარი, გამოხსნის სიმბოლო. შემდეგ ყოვლადწმინდა სამების ხატი. მარჯვნივ მაცხოვრისა, ხოლო მარცხნივ ღვთისმშობლის ხატები. დაუშვებელია, მაცხოვრის ზემოთ რომელიმე წმინდანის ხატი განთავსდეს, უნდა დავიცვათ იერარქიულობა და თან ხატი კანონიკური უნდა იყოს. ქვედა რიგში - წინასწარმეტყველების, მათ გვერდით ან ქვევით - მოციქულთა, მღვდელმთავართა, დიდმოწამეთა, წმინდათა უვეცხლოთა მკურნალთა, წმინდა იოაკიმე და ანას ხატები შეიძლება ჩამოვკიდოთ.

აუცილებელი არ არის, სახლი გამოფენად ვაქციოთ. თუ ვერ ვლოცულობთ და ვერ ვცემთ თაყვანს, თუ უყურადღებოდ გვრჩება ხატები, უმჯობესია გადავცეთ მას, ვინც ჯეროვნად მოეპყრობა.

ბეჭდვის გაადვილებით, რეპროდუქციული ხატების გამრავლებასთან ერთად გამრავლდა ჩვენი მხრიდან მათ მიმართ უპატივცემულობაც. სიწმინდისადმი უკრძალველობას სჯობს, ორი ხატი გვქონდეს სახლში და გულით ვილოცოთ მათზე, მოვუაროთ და ისინი ჩვენ თავად გვიპატრონებენ.

არის ისეთი ხატები, სადაც ყველა წმინდანია გამოსახული - "საქართველოს იმედი", "საქართველოს დიდება", შეგვიძლია ამ ხატზე გამოსახულ წმინდანებს ვევედროთ და ცალკეული ხატების გამოფენად არ ვაქციოთ სახლი. ხატისთვის სპეციალურად იწერება ტროპარ-კონდაქი, პარაკლისი, სავედრებელი გალობა, დაუჯდომელი... ადამიანმა უნდა იცოდეს სწორი თაყვანისცემა ხატისა, ხშირად ევედროს მათ საჭიროებისამებრ, იაროს ტაძარში და მოძღვრის ლოცვა-კურთხევა შეასრულოს. ყოველი ლოცვის შემდეგ უნდა ვაკმიოთ საკმეველი.

ხატების კუთხეს უნდა მოვარიდოთ ტელევიზორი, კომპიუტერი, რადიო და ა.შ. მათი შეხედვისას მიწიერი სულსწრაფობა გვიპყრობს, შეიძლება ვიჩქაროთ კიდეც ლოცვის დასრულება. როგორც ტაძარშია მიუღებელი ტელევიზორი, ასევე სამლოცველო კუთხესაც გაამიწიერებს და ვერ შევძლებთ ლოცვის განწყობის შექმნას. აქაც არის გამონაკლისი შემთხვევები, როდესაც გამომცემლობაში ან სამსახურში უწევს ადამიანს ყოფნა, იქ მას უწევს ტელევიზორისა და ტექნიკის ქონაც, რაც მოვალეობის შესრულებისთვის აუცილებელი პირობაა.

არ შეიძლება ხატები განთავსდეს თაროების გასამშვენებლად, საერო ფოტოების გვერდით.

რატომ ფრიალებს გული



გულის კუნთი განსაზღვრული ტემპითა და რიტმით იკუმშება. ჯანმრთელი ადამიანის გულისცემა რიტმულია და ვინაიდან ავტომატური პროცესია, ნაკლებად არის დამოკიდებული ადამიანის ნებაზე. ისე რომ, ჯანმრთელი ადამიანი ვერც კი ამჩნევს, როგორ მუშაობს მისი გული, მაგრამ თუ რიტმში დარღვევები გაჩნდა, უმალვე ვიგრძნობთ. "გული მიფრიალებს, ექიმო!" - ხშირად შესჩივიან პაციენტები კარდიოლოგს. გულის "ფრიალის" მიზეზი კი, არც მეტი, არც ნაკლები, არითმიაა. რა იწვევს მას ან რამდენად საშიშია იგი?

- გულის ფრიალი გახშირებული ან გაძლიერებული გულისცემის შეგრძნებაა. ხშირად თან სდევს ტაქიკარდია. გულის ფრიალი და ტაქიკარდია, განურჩევლად მიზეზისა, სერიოზულ დისკომფორტს იწვევს. გულის ფრიალი სუბიექტური სიმპტომია. ზოგიერთს გულის ნორმალურ შეკუმშვათა შეგრძნებაც შეუძლია, მაშინ, როდესაც ზოგიერთი გულის რიტმის სერიოზულ დარღვევებსაც კი ვერ გრძნობს, ამიტომ გულისცემის შეგრძნება ყოველთვის გულის დაავადების ნიშანი არ არის.

- რას წარმოადგენს არითმია და რამ შეიძლება გამოიწვიოს იგი?

- არითმია გულის ნორმალური რიტმის დარღვევაა. ჩვეულებრივ, მაჯაზე ხელის დადებისას რიტმულ გულისცემას შევიგრძნობთ. თუმცა არის შემთხვევები, როცა გულის რიტმული მუშაობა ირღვევა. სწორედ ეს არის არითმია. ხალხში ამას პულსის გამოვარდნას, გულის ფრიალს, გულის აჩქარებას უწოდებენ. მისი მიზეზი შესაძლოა იყოს:

- გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებები;
- მეტაბოლური და ენდოკრინული დარღვევები;
- ფსიქოემოციური გადაძაბვა, ცენტრალური ნერვული და/ან ვეგეტატიური ნერვული სისტემის ესა თუ ის პათოლოგია;
- მედიკამენტების (შარდმდენები, ანტიარითმიული და დიგიტალისის პრეპარატები, საფაღარათო საშუალებები) მიღება;
- ორგანიზმის ინტოქსიკაცია;
- სხეულის ტემპერატურის მკვეთრი დაქვეითება, გადაცივება.

არსებობს სიცოცხლისთვის საშიში არითმიები, რომლებიც გონების დაკარგვით და ზოგჯერ სიკვდილითაც კი მთავრდება და ისეთი ტიპის არითმიები, რომლებიც მკურნალობას არ საჭიროებს. არითმია შესაძლოა გამოწვეული იყოს როგორც რომელიმე სერიოზული დაავადებით, ასევე ისეთი ბანალური, ყოფითი მიზეზით, როგორიც არის ემოციური გადაძაბვა, ყავის დიდი რაოდენობით მიღება.

- ზემოთ ტაქიკარდია ახსენეთ. რას ნიშნავს ეს?

- ტაქიკარდია გულისხმობს მდგომარეობას, როდესაც გულის შეკუმშვების რიცხვი სხეულის ნორმალური ტემპერატურისა და მოსვენებისას წუთში 80 და მეტი დარტყმაა, ხოლო ფეხზე დგომისას წუთში 100-ს აღემატება. ტაქიკარდიის დროს პულსის გახშირებამ შესაძლოა წუთში 150 დარტყმას მიაღწიოს. ტაქიკარდია ნორმალურად ითვლება ფიზიკური დატვირთვის, ნერვული გადაძაბვის, სხეულის ტემპერატურის მატების დროს. მაგრამ არსებობს მდგომარეობებიც, რომელთა დროსაც ტაქიკარდია პათოლოგიურ გამოვლინებად მიიჩნევა. მათ მიეკუთვნება:

- გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებები;
- ჰიპერთერმია (სხეულის ტემპერატურის მომატება);
- ინტოქსიკაცია (მედიკამენტებით, ალკოჰოლით, კოფეინით, ნიკოტინით და სხვა);
- ანემია;
- ემოციურ-ნევროზული ფონი;
- თირეოტოქსიკოზი.

- ტაქიკარდიის გვერდით ხშირად ახსენებენ ბრადიკარდიას. რა არის ეს?

- ბრადიკარდია გულის შეკუმშვების ისეთი შენელებაა, როდესაც პულსი წუთში 55-მდე და მეტად მცირდება. ბრადიკარდია ჯანმრთელ, ნავარჯიშევ ადამიანებში ნორმალურ მოვლენად ითვლება მოსვენებისა და ძილის დროს, მაგრამ შესაძლოა, ამა თუ იმ პათოლოგიის ნიშანიც იყოს. მაგალითად, ისეთისა, როგორიც არის გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებები (მიოკარდიუმის ინფარქტი, სინუსური კვანძის სისუსტის სინდრომი, გამტარი სისტემის სხვა დაზიანება, მიოკარდიტი, თანდაყოლილი ანომალიები), ცენტრალური ნერვული სისტემის დაავადებები, ქალასშიგა წნევის მატება, ნეიროცირკულატორული დისტონია, ინფექციური დაავადებები, ფარისები ჯირკვლის ფუნქციის დაქვეითება (ჰიპოთირეოზი), საჭმლის მომნელებელი სისტემის დაავადებები, ზოგიერთი ვირუსული ინფექცია, მედიკამენტები (საგულე გლიკოზიდები, ბეტა-ადრენობლოკერები, ვერაპამილი, რეზერპინი) და სხვა.

- რა არის ექსტრასისტოლია?

- ეს არის გულის ნაადრევი შეკუმშვები, რომლებიც განპირობებულია სინუსის კვანძის გარეთ იმპულსის წარმოშობით. ექსტრასისტოლებს ავადმყოფი შესაძლოა ვერ გრძნობდეს ან აღიქვამდეს როგორც პულსის გამოვარდნას, გულის არეში დარტყმას, გულის ფრიალს ან გულის გაჩერებას. ექსტრასისტოლია შეიძლება შეგვხვდეს როგორც ჯანმრთელი, ისე დაავადებული გულის შემთხვევაში. განპირობებულია ვეგეტატიური და ფსიქოემოციური დარღვევებით, მედიკამენტური მკურნალობით (საგულე გლიკოზიდებით), ელექტროლიტური ბალანსის დარღვევით, ალკოჰოლისა და აღმგზნები საშუალებების ჭარბი გამოყენებით, თამბაქოს წევით.

ნუგზარ და ბელურა მაჩაბლიშვილები

ჩემო ნუგზარ, დაბადება ხომ სიხარულია, სიცოცხლე სანატრელია, სიტყვა სიკვდილი კი საშინელებაა. რა ძნელია, როცა დედა სამუდამოდ კარგავს შვილს. შვიდი წელი გავიდა 27 მაისს, რაც დედას შენი ხმა აღარ გაუგია. როგორ შეიძლება დამავიწყდეს შენი უკანასკნელი სიტყვები და შენი ნაღვლიანი თვალები. რაღა არ ვიღონეთ, მაგრამ ჩვენ სიკვდილის დამარცხება ვერ შევძელით. შენზე ფიქრით და მოგონებებით თენდება და ღამდება. სიკვდილი ,მართალია, ყველას თავს არის, მაგრამ არა უდროოდ. ეს შენთვის ნაადრევი იყო. შენს შვილებს ახლა სჭირდებოდი, გიორგი წელს აბიტურიენტია და მალე სტუდენტი გახდება. გადმოცემით ვიცი რომ ძალიან კარგი ბიჭია, ამბობენ, რომ სულ ნუგზარის განსახიერებაა, თუმცა, მას ჩვენთან კავშირი არ სურს, მაგრამ მისი ყოველი კარგი ჩვენთვის სასიხარულოა და ღმერთს ვევედრები, რომ ისეთი ახალგაზრდა გამოვიდეს რომ ყველა მის შესახებ საუბრობდნენ, რომ კარგი დედ-მამის შვილიაო. წინასწარ ვუსურვებ სტუდენტობას და ყოველივე კარგას. დიტო კი ხშირად გვეხმაურება და გვნახულობს. მას კი სუფთა შენი გული აქვს. მალე სექტემბრის თვეში კი მამაშენის სამი წელი გახდება, რაც შენი უსაყვარლესი მამიკო შენთან წამოვიდა. არა ნაკლებ განვიცდი ჩემო ძვირფასო მეუღლე, ბელურ! შენი სიკვდილი შენ ხომ იყავი ეტალონი პიროვნება, რომელმაც შექმენი ოჯახი- ისეთი რომ ყველა დაგვნატროდა, ნათესავი, მეზობელი თუ მეგობარი. შენ იყავი კარგი მამა, კარგი პაპა, კარგი მეუღლე. მომაკლდა შენი სითბო, სიყვარული, პატივისცემა. აქედან გეფერები, გეალერსებით ,ჩემო ძვირფასო ქმარ-შვილო. თქვენ ჩენს გულებში მუდამ ცოცხლები ხართ და იქნებით კიდევაც.

მაჩაბლიშვილების და ხაჭაპურიძეების ოჯახი.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის კულტურის და ძეგლთა დაცვის ცენტრი თანაგრძნობას უცხადებს

ანა კიკილაშვილს

დედის ლიზას გარდაცვალების გამო.

შვილები: ქეთინო, ჭაბუკი. რძლები:მაია ალადაშვილი, თამუნა ლეკიაშვილი, სიძე შენგელი მეხრიშვილი, შვილიშვილები ზურიკო, დათო, გიორგი, ფარნა, ბაჩანა, შვილთაშვილი ლიზიკო, ძმა ვასიკო, დები გულო, ნათელა იუწყებიან

ფარნაოზ ივანეს ძე ალულიშვილის

გარდაცვალებას.

დაიკრძალა შაბათს, 30 მაისს ქ.დედოფლისწყაროში.

სახალხო ზეიმი დედოფლისწყაროში

(მეოთხე გვერდიდან)

რაც შეეხება მასვერსვინგს, 60 კილოგრამ წონით კატეგორიაში, პირველი ადგილი დაიკავა **ბაჩო გიგაურმა**, მეორე **გიორგი ტუხაშვილმა,** ხოლო მესამე - **შეთე არაბულმა.**

ადგილობრივი ფოლკლორული და მხატვრული თვითმოქმედი კოლექტივების მონაწილეობით გაიმართა სადღესასწაულო გალა-კონცერტი. სადაც მონაწილეობა მიიღეს მუნიციპალიტეტის ყველა სოფლის ფოლკლორულმა და ვოკალურმა ჯგუფებმა, ქორეოგრაფიული ანსამბლებმა, ინდივიდუალური შემსრულებლებმა, ხელოვნების სკოლის მოსწავლეებმა, ჰამლეტ გონაშვილის სახელობის ქართული გალობისა და ხალხური სიმღერის ვაჟთა გუნდმა, ქ.დედოფლისწყაროს კულტურის სახლთან არსებული ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლმა „აისელებმა“, გონათა ანსამბლმა „მანდილმა“ და „დები ლოლაშვილებმა“.

აქვე მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელმა პირებმა და ხორნაბუჯისა და ჰერეთის ეპისკოპოსმა დიმიტრიმ დამსწრე საზოგადოებას სამოუკიდებლობის დღე მიულოცეს.

მეუფე დიმიტრი : „გილოცავთ დამოუკიდებლობის დღეს, ეს დღე ქიზიყელებისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან უბატონო მხარეა. ერთ მაგალითს მოვიყვან, რომელიც დღეს დილით ამოვიკითხე. ხაშურის ერთ-ერთი სოფლის სასაფლაოზე არის ვინმე დავით კაპანაძის საფლავის ქვა წარწერით – „გაიხარე, მონობით ტანჯულო მამავ, ჩვენი ქვეყანა თავისუფალია“. დავით კაპანაძე 1918 წლის 25 მაისს გარდაცვლილა, დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე ერთი დღით ადრე, შვილს კი ასეთი ეპიტაფია გაუკეთებია. ეს ქვა კომინუსტური რეჟიმის მსახვრალ ხელს როგორღაც გადარჩენია და დღეს, როგორც ძეგლი, ჩვენი ქვეყნისა და ხალხის დამოუკიდებლობისა და თავისუფლების სიყვარულზე მეტყველებს. თავისუფლების მოყვარე ერი ღმერთმა მუდამ თავისუფალ ქვეყანაში გვაცხოვროს ან და მარადის და უკუნისამდე“.

„ალბათ სიმბოლურია, რომ ამ დღეს ჩვენი ქვეყნის უახლეს ისტორიაში ყველაზე გამორჩეული მამულიშვილი, საქართველოს ეროვნული გმირი, მერაბ კოსტავა დაიბადა.დიდი სურვილი მაქვს, რომ ყველა ქართველი უპირველეს ვალდებულებას სამშობლოს წინაშე გრძნობდეს, რადგან როგორც ბავშვი წარმოადგენს ოჯახის სარკეს, ასევე ნებისმიერი მოქალაქე წარმოადგენს ქვეყნის სარკეს. გილოცავთ დამოუკიდებლობის დღეს და გისურვებთ ერთიან საქართველოში ცხოვრებას“ – განაცხადა საკრებულოს თავმჯდომარემ, ზვიად ჯავახიშვილმა.

„მინდა მოგილოცოთ ყველაზე სანუკვარი დღესასწაული, რაც კი ადამიანს გააჩნია - ეს არის დამოუკიდებლობის დღე. 24 ძალიან მძიმე წელი გავიდა, მას შემდეგ, რაც საქართველომ დამოუკიდებლობა აღიდგინა. მიხარია, რომ აქ ძალიან ბევრი ახალგაზრდაა. დამოუკიდებლობის შემდეგ, თავისუფალი თაობა წამოვიდა, რომლებიც ჩვენს ცხოვრებას ასე ალამაზებენ და ჩვენი ქვეყნის ხვალინდელი დღე არიან“ - აღნიშნა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა.

საქართველოს დამოუკიდებლობის დღე დასრულდა დისკოთეკითა და ფოიერვერკით.

* * *

საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლაში დაღუპულთა ოჯახები დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის 2015 წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან ერთჯერადად 1 000 ლარს მიიღებენ.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებლის განმარტებით, გმირების ოჯახებისთვის აღნიშნული დახმარების გადაცემა 26 მაისსს საგანგებოდ დაამთხვიეს.

„ამგვარი დახმარება სხვა წლებშიც გაიცემოდა, თუმცა დაღუპულთა ოჯახები დედოფლისწყაროში თანხას აგვისტოს თვეში იღებდნენ. იმის გამო, რომ არ მოხდეს სხვა კონფლიქტების დროს დაღუპული გმირების დაკნინება, გადავწყვიტეთ, აგვისტოს ნაცვლად დახმარება გავცეთ ყოველი წლის 26 მაისს. ვფიქრობთ, უპრიანია, მუნიციპალიტეტის მიერ ამ ოჯახებისადმი თანადგომის გამოხატვა სიმბოლურად დამოუკიდებლობის დღეს მოხდეს. მათ სწორედ ქვეყნის დამოუკიდებლობას შესწირეს თავი და ვფიქრობთ, ეს გადაწყვეტილება უფრო მართებული იქნება,“ – განუცხადა გაზეთ „შირაქს“ ნიკოლოზ ჯანიაშვილმა.

ქვეყნის ერთიანობისათვის დაღუპულთა ოჯახებისთვის ათასლარიანი დახმარების გადაცემასთან დაკავშირებით კომენტარი დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ზვიად ჯავახიშვილმა გააკეთა:

„მათ საკუთარი სიცოცხლეც კი არ დაიშურეს სამშობლოს მთლიანობისა და თავისუფლებისათვის. ვალდებულები ვართ, ჩვენი გმირების ღვაწლი ჯეროვნად დავაფასოთ. კარგად გვესმის, რომ ეს არ არის საკმარისი და მათი ამაგის გადახდა შეუძლებელია. თანხების გადაცემა ეროვნული დამოუკიდებლობის დღეს, 26 მაისს საგანგებოდ დავამთხვიეთ. ამ ადამიანების ოცნება ხომ სწორედ თავისუფალი და ერთიანი საქართველო იყო.“ - აცხადებს ზვიად ჯავახიშვილი.

შეგახსენებთ, რომ 1993-2008 წლებში საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას 12 დედოფლისწყაროელის სიცოცხლე შეეწირა.

ილია მარტყოფლიშვილი

ულოცავენ!

დალი ბაღაშვილს!

მხარეთმცოდნეობის მუზეუმის თანამშრომლები დალი ბაღაშვილს ვულოცავთ შვილების ანა გოგოჭურის და ბექა სეხნიაიძის ბედნიერებას, ვუსურვებთ ჯანმრთელობას, ოჯახურ სიმყუდროვეს და იმ დიდ სიყვარულს, რომელზედაც დამყარებულია ოჯახური ბედნიერება.

დიდი სიყვარულით,
მხარეთმცოდნეობის მუზეუმის
თანამშრომლები

მადლიერება

სოფელ ხორნაბუჯის საჯარო სკოლას მრავალი პრობლემა გვაქვს. ჩვენი ბიუჯეტი არ გვაძლევს საშუალებას, რომ ისინი დამოუკიდებლად გადავჭრათ. მაგრამ, საბედნიეროდ, არიან ადამიანები, რომლებიც გვერდში გვიდგანან და გვეხმარებიან. წვიმების დროს ეზო ივსებოდა წყლით და შეუძლებელი იყო გავლა. დახმარება ვთხოვეთ მუნიციპალიტეტის გამგებელს ბატონ ნიკოლოზ ჯანიაშვილს და სოფელ ხორნაბუჯის საკრებულოს დეპუტატს ბატონ გია გოგილაშვილს. მათ გულთან მიიტანეს ჩვენი გაჭირვება და მათი დახმარებით გაიწმინდა სანიაღვრე სისტემა, გზა და პრობლემაც მოიხსნა.

გია გოგილაშვილმა გვიშუამდგომლა სააქციო საზოგადოება „არნივის ხეობის“- დირექტორთან გელა ბილიაშვილთან, რომელმაც სკოლისთვის შეიძინა პრინტერ-კომბაინი. დიდი მადლობა მათ ყურადღებისა და თანადგომისთვის.

სოფელ ხორნაბუჯის საჯარო სკოლის დირექცია,
პედკოლექტივი და სამეურვეო საბჭო.

იყიდება!

იყიდება აგურის კაპიტალური ბინა ბელეტაჟზე, 6 ოთახი აბაზანით და სამზარეულოთი, საცხოვრებელი ფართი 136კვმ, გარაჟით, სარდაფით, სამეურნეო ნაგებობებით, ბაღით, ტალავერით. საერთო ფართობი 1269 კვმ-ია. ფასი შეთანხმებით.
მისამართი: 9 ძმის ქუჩა, III-ე შესახვევი N5. დარეკეთ:

577 22 32 19. იკითხეთ ლევან იაკობიშვილი.

ამინდი

დედოფლისწყარო

	ორშაბათი 01.06		სამშაბათი 02.06		ოთხშაბათი 03.06		ხუთშაბათი 04.06		პარასკევი 05.06		შაბათი 06.06		კვირა 07.06	
	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე
	21 °	16 °	20 °	19 °	23 °	20 °	24 °	22 °	25 °	21 °	18 °	17 °	21 °	17 °

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი

რედაქტორი **ნინრა გორაშვილი-პოპიაშვილი**

წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ლალი მესხრიშვილი, ილია მარტყოფლიშვილი (ჟურნალისტები) ; ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი) ; ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი) ; მზია ქინქლაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუწაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა).

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „სამშობლოს“ სტამბაში.

რედაქციის მისამართი: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
ტელ. 0 356 22 55-49;
598 72-18-72 (დირექტორი)
591-97-73-26 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია
დედოფლისწყაროს რაიონის
სასამართლოს მიერ,
№6014-468.

C M Y K